ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№1 (31) იანვარი 2010 წელი

ერის სულიერი ძალა

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია.
1972 წელი

შეხვედრა სოხუმის უნივერსიტეტში

სამების
კურთხევა

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის)
ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

საშობაო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

ქრისტეს მიერ საყვარელო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და უცხოეთში მცხოვრებნო ჩვენო სულიერო შვილებო!

„ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ. 16,33).
„სოფელი ცდილობდა დავეჭირე, მაგრამ ვერ დამიჭირა“ (გრიგოლ სკავაროდა)

გიხაროდეთ, „ღამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა“ (რომ 13,12); აღსრულდა უდიდესი საიდუმლო ქრისტეს განკაცებისა; ზეიმობს ცა და ქვეყანა და წმიდა ეკლესიაც სიხარულით ღაღადებს: „დღეს ქრისტე იშვების ბეთლემს ქალწულისაგან უბიწოჲსა, დღეს დაუსაბამოჲ დაიბადების, სიტყვაი ხორცთა შეისხამს და ძალნი ცათანი აქებენ სიხარულით“; ამ გამოუთქმელ სიხარულს ვეზიარებით ჩვენც, ყველა და წმიდა ეკლესიასთან ერთად ვუგალობთ უფალს: „ქრისტეს შობასა ვადიდებთ და აღვამაღლებთ ღმერთსა დიდებულსა“.

რატომ განკაცდა უფალი? და რატომ არის დედამიწაზე მის მოვლინებასთან დაკავშირებით ასეთი დიდი სიხარული?

დაუსაბამო იგი ხორციელ იქმნა, რათა ცოდვის მორევში დანთქმული კაცობრიობისათვის ხსნის გზა ეჩვენებინა და ყოფიერების ჭაობში შთაფლულთათვის სიკეთისა და ბოროტების გარჩევა ესწავლებინა; იგი განკაცდა, რომ გვეზეიმა საკუთარ თავზე გამარჯვება და კვლავ მარადიული ნეტარებისა და სიცოცხლის შესაძლებლობა მოგვცემოდა.

საერთოდ, ადამიანი ნეტარებისათვის არის ღვთისგან შექმნილი. ამიტომაც ბედნიერებისა და სიამოვნებისაკენ ლტოლვა მისი ბუნებრივი თვისება და სურვილია; ბედნიერება და სიამოვნება კი, სიყვარულს უკავშირდება.

ნებისმიერ პიროვნებას ყველაზე მეტად უყვარს ის, რაც ყველაზე მეტად სურს და ყველაზე მეტად სურს ის, რაც მას ყველაზე მეტ სიამოვნებას, სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს.

ვიდრე ადამი და ევა სამოთხეში მყოფობდნენ მათი ნეტარება ღმერთთან კავშირიდან მომდინარეობდა. ღმერთთან უშუალო კავშირი იყო მათი უმთავრესი მოთხოვნილებაც და ბედნიერების წყაროც.

ცოდვით დაცემის შემდგომ კი შეიცვალა მათი ბუნება, აღქმისა და აზროვნების წესი, რადგან უფლის სიყვარულით სავსე მათი გონება, გული და ნება შეიბილწა ბოროტი ძალის დაჯერებით და მისი ნების აღსრულებით.

ამიტომ დაკარგეს ადამმა და ევამ სამოთხე და ღმერთი, როგორც ნეტარების უშრეტი წყარო და მიწიერი ყოფით მიიღეს ის, რაც მათს დაცემულ სულიერ მდგომარეობას შეეფერებოდა. ცოდვით დაცემის შემდგომ ადამიანებში გაჩნდა ბედნიერებისა და სიამოვნების მიღების სხვადასხვაგვარი მოთხოვნილებანი, რაც დროთა განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა უმთავრესი ყოველთვის მაინც იყო სიმდიდრის დაგროვების სურვილი, პატივმოყვარეობა, სიამეთმოყვარეობა, თანამდებობისკენ სწრაფვა, აზარტული თამაშობანი, მრუშობა, სასმელით ან ნარკოტიკით გატაცება და ა.შ..

ამგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არათუ მარადიულ ნეტარებას ანიჭებს ადამიანს, არამედ ამქვეყნადვე, წუთიერი სიამოვნებების ნაცვლად, სხეულისა და სულის უმძიმეს დაავადებებს იწვევს.

ბრძენს უთქვამს – მსგავსი მსგავსს შეჰხარისო. და მართლაც, ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე ყოველი ადამიანი თავისი ნებით ირჩევს გზას და ისწრაფვის ცათა სასუფევლის ან ბოროტების მეუფებისაკენ.

როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი წერს „კაცი შორის ორთა საქმეთასა არს: ცოდვისა და სათნოებისა“. იგი ან კერპთმსახურია ან ღვთისმსახური, ან სიძვისმოქმედია ან სიწმინდის მატარებელი, სიმართლეს ესწრაფვის ან უსამართლობას, არის ამპარტავანი ან თავმდაბალი. ერთ-ერთის საბოლოო გამარჯვება მეორის უცილობელ მოსპობას ნიშნავს, რადგან „ღმრთისმსახურებისა დამტკიცებაჲ სიკუდილი არს კერპთმსახურებისაჲ, ეგრეთვე სიმართლისა მიერ მოიკვლის უსამართლობაჲ“... და ა.შ.

ყოველი ადამიანი უნდა ეცადოს, ამქვეყნადვე იპოვოს ღმერთი და მისდიოს მის გზას. ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ უფლის ნებას (რაც მის მცნებებშია განცხადებული) ჩვენი პიროვნული ნებაც შეუერთდება; ანუ, თუ ვიცხოვრებთ სახარებისეულად.

ღვთაებრივი და ადამიანური ნების თანხვედრას სინერგია ეწოდება; სწორედ იგია ზეცად აღმყვანებელი უდიდესი ძალა, რომელიც ყველა დაბრკოლებას დაგვაძლევინებს და ამქვეყნადვე გვაგრძნობინებს, რომ „სასუფეველი ჩვენშია“.

„ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ“, – ბრძანებს მაცხოვარი.

მაგრამ ხშირად ადამიანები, რომლებიც თავს მორწმუნეებად მიიჩნევენ, ვერ აღწევენ იმას, რასაც ლოცვაში ითხოვენ. რატომ ხდება ეს?!

იაკობ მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ითხოვთ და არ გეძლევათ, რადგან ბოროტად ითხოვთ,

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

რათა თქვენი ვნებები დაიკმაყოფილოთ“ (იაკ.4.2).

დიახ, ადამიანების ნაწილს მიაჩნია, რომ სწამთ ღმერთი, და ამავე დროს ერთმანეთს ეჯიბრებიან მიწიერი კეთილდღეობის მოსაპოვებლად, ან შურთ, ცილს სწამებენ და განიკითხავენ სხვას, რაც მათს ლოცვას ძალას უკარგავს.

ზოგჯერ, ესა თუ ის პიროვნება, ერთი შეხედვით, მართლაც კარგ საქმეს აღასრულებს: შემოსავლის ნაწილს გასცემს, გაჭირვებულებს ეხმარება, ტაძარსაც აშენებს... მაგრამ თუ ყოველივე ამას თავის გამოსაჩენად აკეთებს და სიკეთით ამპარტავნობს, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება უფლისათვის და არც ასეთი ადამიანის ლოცვა შეისმინება. ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ღმერთი ამქვეყნიური კეთილდღეობის სრული უარყოფისკენ მოგვიწოდებდეს ყველას. რა თქმა უნდა – არა, რადგან უფალი ჩვენგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ არ გავხდეთ ხორციელ მოთხოვნილებათა მონები და მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობა არ იქცეს ჩვენს მამოძრავებელ ძალად; მაგრამ თუ თანამდებობას, ძალაუფლებას, სიმდიდრეს და ჩვენს სხვა შესაძლებლობებს არა საკუთარი „მეს“ წარმოსაჩენად, არამედ უფლის სადიდებლად (რადგან ყოველივე მისგან გვეძლევა) და მოყვასის მსახურებისათვის გამოვიყენებთ, ღვთისსათნოდ ვიცხოვრებთ.

წმიდა წერილი გვასწავლის:

„სიყვარული სოფლისაჲ ამის, მტერობა არს ღმრთისა (იაკ, 44). „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად... ვერ ხელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ (მთ. 6,24).

მაშ, „დაემორჩილენით ღმერთსა და წინა აღუდექით ეშმაკსა“, მიეახლენით მას და მოგეახლოს თქვენ (იაკ. 4,7).

* * *

მეტად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ცოდვითი მიდრეკილებები სულ უფრო და უფრო ღრმად იდგამს ფესვს ჩვენს ყოფაში.

ცოდვა, როგორც ხორცმეტი, ადამისა და ევას დაცემიდან მოყოლებული მუდამ არსებობდა, მაგრამ ადამიანს ჰქონდა სინანულიც. სულშეძრული დავით წინასწარმეტყველი ასე წარმოაჩენს ამ მდგომარეობას: „ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“.

დღეს კი ცოდვა ცოდვად აღარ მიიჩნევა და იგი ლამის ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად წარმოგვიდგინონ. ამ აზრს, რომლის დამკვიდრებასაც უცხოეთში უკვე კარგა ხანია ცდილობენ, ჩვენთანაც ეძლევა გასაქანი.

ცოტა ხნის წინ უცხოური სერიალებით დაიწყეს ხალხის ცნობიერების გადაგვარება, ახლა კი ჩვენი მოქალაქენი გამოჰყავთ უზნეობის დემონსტრირებისათვის.

ცოდვის საკუთარ თავში მიღებითა და შეთვისებით ადამიანს სრული გამოფიტვა ემუქრება. ამაზე კი პასუხს აგებს ყველა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ამისკენ უბიძგებენ ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს; მაცხოვარი ბრძანებს: „ვაი მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცდური... (მთ. 18,7)... მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“. (მთ. 18,6) ასევე საშინელია სხვა მომაკვდინებელი ცოდვებით დამძიმებული ადამიანების ხვედრიც.

შეუძლებელი და შეუთავსებელია იყო ქრისტიანი და ამავე დროს – ნარკომანი, ქრისტიანი და – ლოთი, ქრისტიანი და – მრუში, ქრისტიანი და – ქურდი... ამგვარ საქმეთა მოქმედნი თავს ნუ მოიტყუებენ და ნუ ინუგეშებენ, ისინი ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

ადამიანი თავისი დაცემული ბუნებით ცოდვისკენაა მიდრეკილი და შეიძლება ის, ნებით თუ უნებლიედ, სხვადასხვა ცოდვაში ჩავარდეს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მონანიებისა და გამოსწორების სურვილი, რწმენა უფლისა და ღმერთი აუცილებლად დაეხმარება და მიანიჭებს მაცხოვნებელ მადლს.

* * *

ეპისტოლეში ასევე მინდა, შევეხო ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალურ და მტკივნეულ ზოგიერთ სხვა საკითხსაც და, პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებ თანამედროვე ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მხარეზე.

განათლების რეფორმისას დაშვებულმა შეცდომებმა შედეგად მოგვიტანა ის, რომ მოზარდები ცოდნის შეძენის სურვილს უკვე ნაკლებად ამჟღავნებენ. სამეცნიერო მოღვაწეობა კი არაპრესტიჟულად მიაჩნიათ, რადგან ხედავენ, რომ ინტელიგენციას სათანადო დაფასება არა აქვს (ისინი ხომ საშუალო ფენის დონეზეც კი ვერ ინახავენ ოჯახს).

ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომავალი, რადგან ერის სულიერებისა და განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ.

ჩვენ თავს ვხრით და დიდად ვაფასებთ იმ თავდადებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გამოიჩინეს ჩვენმა მეცნიერებმა და ათეისტური ყოფის მიუხედავად, შეძლეს ხალხისათვის სწორი ორიენტირების შენარჩუნება.

გავიხსენოთ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე, თედო სახოკია, გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, მაქსიმე შარაძე, ფილიმონ ქორიძე და სხვა მრავალნი.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ შევიწროვებულნი, დამცირებულნი და ყოველდღე ელოდნენ დაპატიმრებას..., მათ არა მარტო დაიცვეს, არამედ გაამდიდრეს ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, დაიცვეს როგორც თავისი, ისე ქვეყნის ღირსება.

ჩვენ უნდა გვქონდეს ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ანალიტიკური აზროვნების უნარი, რომ გავარჩიოთ, რა არის მისაღები და რა უარსაყოფი, გავიაზროთ, როგორ დავძლიოთ ესა თუ ის პრობლემა, რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ადრე დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ და შევძლოთ მომავლის სწორი პროგნოზირება.

ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, სკოლაში იყოს ანალიტიკური აზროვნების კურსი, რათა მოზარდი თაობა ადრეული ასაკიდანვე მიეჩვიოს განსჯისა და სწორი ნაბიჯების გადადგმას.

ვფიქრობ, აუცილებელია ისეთი საგნის შემოღებაც, რომელსაც, ძირითადად, აღმზრდელობითი დანიშნულება ექნება. ეს საგანი ისევე უნდა ისწავლებოდეს როგორც სხვა საგნები, მაგ: ისტორია, ფიზიკა, ლიტერატურა, მათემატიკა..., რათა მომავალი თაობა მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

იგი უნდა მოიცავდეს ურთიერთობის კულტურას ოჯახში და ნათესავებთან, ურთიერთობას მეგობრებთან და თანატოლებთან, უფროს

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

და უმცროს თაობასთან, აქ უნდა ისწავლებოდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და სუფრასთან ქცევის წესები, რთული სიტუაციების დაძლევის გზები და, რა თქმა უნდა, ცოდნისა და შრომის სიყვარული.

შრომის გარეშე ცოდნას ვერ შევიძენთ და ვერც მოვიხმართ; შრომის გარეშე ვერ შევქმნით ვერც სახელმწიფოს. ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია როგორც ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური შრომა. თუმცა ზოგიერთს მიაჩნია, რომ ფიზიკური შრომა ამცირებს პიროვნებას. ეს არასწორი შეხედულებაა. იგი ღვთისაგან ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის დადგენილი ცხოვრების წესია.

* * *

გარდამავალმა პერიოდმა, რომელიც თითქმის 20 წელია გრძელდება, მრავალი პრობლემის წინაშე დაგვაყენა. განსაკუთრებით ის, რომ ჩვენს წარსულსა და დღევანდელობაზეც ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, თითქოს ძირძველი ქართული მიწები ჩვენი მეზობელი ერების ისტორიული სამკვიდრებელი იყო; და ამით შუღლი და დაპირისპირება ითესება დიდი ხნის მანძილზე მშვიდობითა და ურთიერთგაგებით მცხოვრებ ჩვენს ხალხებს შორის. მაგალითად, ოსები კომპაქტურად არიან დასახლებულნი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშიც, და ეს ტერიტორია ისეთივე საქართველოა, როგორც ცხინვალის რეგიონი. ე.წ. სამხრეთ ოსეთი და სხვა ავტონომიებიც კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი ხელოვნური წარმონაქმნია.

მიუხედავად მომხდარისა, მჯერა, ქართველები, აფხაზები, ოსები და სხვანი, მკვიდრნი საქართველოისა, იყვნენ და კვლავაც დარჩებიან ძმებად და დადგება ის კურთხეული დღე, როცა ჩვენ ურთიერთს შევუნდობთ ძმათაკვლის ცოდვებს და ერთად ავაგებთ შერიგების ძეგლს, რომელიც იქნება გაფრთხილება მომავალი თაობებისათვის, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

ქართველი ადამიანი ბუნებით მოსიყვარულე და შემწყნარებელია. ტოლერანტობა ჩვენ წიგნებიდან არ გვისწავლია, ეს ჩვენი თვისებაა. ამის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ საუკუნეთა მანძილზე ამ მიწაზე უპრობლემოდ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვა და სხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც მეგობრობითა და მოყვრობით არიან ქართველ ხალხთან დაკავშირებულნი.

ჩვენი ხასიათის ნათელი გამოხატულებაა ვაჟკაცობითა და მებრძოლი სულით განთქმული მხარის, საქართველოს მთიანეთის დიდებული შვილის, ვაჟა-ფშაველას საოცარი სიტყვები:

„ბალახი ვიყო სათიბი, არა
მწადიან ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა“.

დიახ, შინაგანად ასეთია ქართველი კაცი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ოდესმე შეეგუება სამშობლოს ერთიანობის ხელყოფას.

სამშობლო დედამიწის ის ადგილია, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს, ამა თუ იმ ერს ღვთის განგებულებით ებოძა.

სამშობლო, რა თქმა უნდა, არის გარკვეულ საზღვრებს შორის არსებული ტერიტორია, ის ბუნება, ის წიაღისეული, ის ფლორა და ფაუნა, რასაც ეს ტერიტორია მოიცავს, მაგრამ სამშობლო არის კიდევ უფრო სხვა...

სამშობლო შენი წინაპრების ძვლებით გაპოხიერებული მიწაა, შენი ენით გაჯერებული ჰაერია, შენი გენით, შენი ხასიათით დატვირთული გარემოა.

აქ, ამ სივრცეში მყოფობს მთელი ისტორია ერისა და ქვეყნისა, და ეს ყოველივე თითოეულ ჩვენგანთან უხილავი, მაგრამ ძალიან ძლიერი ველით არის დაკავშირებული.

ამიტომაც, სამშობლოს არა აქვს ოდენ მიწიერი, მატერიალური სახე. მის განსაკუთრებულობას დიდად განაპირობებს ისიც, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი წმინდანთა დასი ჰყავს ერს სულიერ მეოხად ღვთის წინაშე. ამ მხრივ, საქართველოს თითქმის ვერავინ შეედრება. სამშობლოსათვის გულანთებული გმირები საქართველოს არასოდეს დაელევა.

* * *

ჩვენს ერს ქართული ენის სახით უდიდესი საუნჯე აქვს და მას თითოეული ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს; ჩვენს ენაში განცხადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი მსოფლაღქმა და აზროვნების წესი. ენა არ არის მარტო კომუნიკაციის საშუალება. დააკვირდით, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: წუთისოფელი, სამშობლო, დედამიწა, გარდაცვალება, თავისუფლება, განათლება და სხვა... თითოეული მათგანი როგორი ფილოსოფიური სიღრმითაა დატვირთული!

ქართული ენის სისავსეს, მის დიალექტთა და კილო-კავთა მრავალფეროვნება, ქართველი კაცის განცდის სიღრმე და მდიდარი სულიერი სამყარო განაპირობებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიძველის და საუკუნეთა მანძილზე განცდილი ცვლილებების მიუხედავად, არ განყვეტილა კავშირი ძველ და თანამედროვე ქართულ ენას შორის, რაც მის დიდ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.

ჰოი ჩვენო ენავ, ჩვენი მწუხარებისა და სიხარულის მესაიდუმლევ, ცისარტყელასავით მშვიდობისმომფენო, მყინვარივით სპეტაკო და თერგივით მშფოთვარევ. ჩვენო ხელთუქმნელო სვეტო, ცამდე ამაღლებულო, საუკუნეთა ქარტეხილში გამოვლილო ლერწამო, საძირკველო და მტკიცე ფუძევ ჩვენო, ჩვენთა საუნჯეთა შემქმნელო და დამცველო, მთების ძლიერებავ, მეფევ და დარაჯო ჩვენი ერის რწმენისა, ერთობისა და მთლიანობისა.

არაერთხელ მოუნდომებია ავისმდომელს შენი შელახვა, შენი მოსპობა.

დღესაც, როდესაც ჩვენს წინაშეა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თანდათან იზრდება მეორე, არანაკლები საფრთხე ენობრივი დაშლისა; არიან ისეთი ძალები, რომელნიც ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უბიძგებენ, რომ ითარგმნოს ბიბლია ან სხვა წიგნები მეგრულად, სვანურად, ლაზურად და მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქართული ენის ეს განშტოებანი უკვე ცალკე ენებად გამოაცხადონ.

მსოფლიოში ვრცელდება რუქები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარლების, ლაზების, სვანების, მეგრელების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენ-ჩვენი ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი ერის სხვა და სხვა ეროვნულ გაერთიანებებად წარმოჩენა. აქედან

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-5 გვ.)

კი სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია.

კაცობრიობა ახალი ტიპის დაპირისპირებაზე, – ინფორმაციულ ომზე გადავიდა და იგი ძირითადად, მასმედიის საშუალებით ხორციელდება. აშკარაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა და სხვა მიმართულებით მიმდინარეობს ინფორმაციული ომი და ამ ყოველივეს შესაბამისი საშუალებებითვე უნდა გაეცეს პასუხი.

* * *

ჩვენი საზოგადოება ეკლესიისგან მრავალწლიანი გაუცხოების შემდეგ კვლავ უბრუნდება რწმენას და ეს ბუნებრივი, თანდათანობითი პროცესია. მართალია, აღდგა გარეგნული სახე ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისა: აშენდა მრავალი ტაძარი, ეკლესიები გაივსო ხალხით, გამრავლდა სასულიერო პირთა რიცხვი, ჩვეულებად იქცა საეკლესიო წესებისა და საიდუმლოებების აღსრულება (ნათლობა, წესის აგება, ჯვრისწერა, სახლის კურთხევა...), მაგრამ დღეს უკვე აუცილებელია ჩვენი საზოგადოების უფრო სიღრმისეულ სულიერ განვითარებაზე ზრუნვა.

ჩვენ გამოვედით ეგვიპტიდან – ცოდვის მონობიდან, მაგრამ აღთქმულ მიწაზე, სულიერ იერუსალიმში ჯერ არ შევსულვართ. უდაბნოს გზაზე ჩვენი მსვლელობისას ზოგჯერ თავს იჩენს ცოდვითი ცდომილებანი. ამის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა ჯვარდაწერილ წყვილთა ხშირი განქორწინება, ნარკომანია და აბორტი.

არ შემიძლია არ შევეხო ახალგაზრდებში გავრცელებულ ერთ მეტად მძიმე სენსაც – ბილწსიტყვაობას; რატომღაც ასეთი მეტყველება მათში კარგ ტონად და ვაჟკაცობად ითვლება. სინამდვილეში კი, ეს არის დაბალი კულტურისა და აზროვნების ადამიანების შინაგანი სამყაროს გამოვლინება. ყმაწვილები ხშირად საკუთარ დედასაც შეურაცხყოფენ და ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ, რას ამბობენ. ეს არის უკიდურესი სიბილწე და უდიდესი ცოდვა, რითაც ადამიანი ეშმაკის თანაზიარი ხდება.

საერთოდ, ყოველი სიტყვისათვის ადამიანი პასუხს აგებს ღვთის წინაშე. განსაკუთრებით კი სასტიკად დაისჯებიან მშობლების მაგინებელნი. ეს დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ ძველ აღთქმაში დედ-მამის მხოლოდ ავადმახსენებელნიც კი ქვით იქოლებოდნენ.

მე ვთხოვ ჩვენს ახალგაზრდებს, საერთოდ უარი თქვან ბილწსიტყვაობაზე და განსაკუთრებით კი, დედასთან მიმართებაში.

ერთად შევთხოვოთ ღმერთს, მოგვანიჭოს მადლი „უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი, რათა, ღვთის შეწევნით, შევძლოთ ცოდვათაგან გათავისუფლება: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ სახიერო სულნი ჩვენნი“.

* * *

ამ ბრწყინვალე დღეს ყველა ჩვენგანის წინაშე დგას კითხვა: იშვება თუ არა ბეთლემს შობილი მაცხოვარი ჩვენს გულშიც?

უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი დაიბადა არა დიდებულ სასახლესა და სამეფო პალატებში, არამედ ყველასგან მიტოვებულ უბრალო ბაგაში და ამით მაგალითი უჩვენა და თავმდაბლობისკენ მოუწოდა მთელ კაცობრიობას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო თავმდაბალთ მოსცემს მადლს“.

რატომ არის ასე?!

იმიტომ, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი ძალით, სიკეთის გაკეთება არ ძალუძს და ამის ნიჭი მას მხოლოდ უფლისაგან ეძლევა.

ვინც ასე არ ფიქრობს და წარმატებებს მხოლოდ საკუთარ თავს მიაწერს, ამპარტავნების მორევში იძირება. ღმერთი მას ტოვებს და ის უფლებები და შესაძლებლობები, რომელიც ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული, ერთმევა; ამის ნათელი მაგალითია მეფე საული, რომელიც თავიდან თვით უფლისაგან იყო გამორჩეული, მაგრამ საკუთარი ნებით ამპარტავნების ცოდვა დაეუფლა, და ბოლოს, მეფობაც დაკარგა და, მასთან ერთად, ყველაფერიც.

საულის მსგავსად, დავით წინასწარმეტყველიც ისრაელის მეფედ იყო დადგენილი, მაგრამ თავისი თავმდაბლობით იგი თაობებისათვის სინანულის მაგალითად დარჩა.

ხალხისათვის ყოველთვის ის წინამძღოლია პატივსაცემი და საყვარელი, რომელიც ღირსეულია და თავმდაბალი.

საქართველოს ისტორიაში ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. გავიხსენოთ წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, თავმდაბლობის ნიმუშია მისი „გალობანი სინანულისანი“. წმიდა თამარი – თავისი ხელსაქმით გლახაკთათვის საზრდელის მიმცემი და დაუცხრომელი ლოცვით სამშობლოს დამცველი მეომრებისათვის შემწე. ბერად შემდგარი ჩვენი დიდებული მეფეები – დემეტრე I, დავით X, თეიმურაზ I...

თავმდაბლობით და თავისი უბრალო ცხოვრებით გამორჩეული იყო მეფე ერეკლე II.

როდესაც ძალაუფლების და დიდების მწვერვალზე მყოფი ხელისუფალნი თავმდაბლობის ასეთ უჩვეულო მაგალითს გვიჩვენებენ, რამდენად უფრო მეტად გვმართებს ეს ჩვენ?!

როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, ძველ აღთქმაში ყველაზე მშვიდი და თავმდაბალი მოსე წინასწარმეტყველი იყო, რომელსაც სწორედ ამ თვისების გამო მიეცა შესაძლებლობა, ჰქონოდა ღმერთთან უშუალო ურთიერთობა; ახალ აღთქმაში და, საერთოდ, ყველაზე თავმდაბალი ადამიანთა შორის ღვთისმშობელია. იგი სიწმინდისა და ამ განსაკუთრებული მადლის გამო შეიქმნა ღირსი გამხდარიყო დედა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. სამყაროს შემოქმედი – ღმერთი ეტვირთა და წიაღი თვისი ცათა უვრცელეს ეყო.

თითოეული ჩვენგანის და საერთოდ, ჩვენი ერის უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ გვაკლია თავმდაბლობა და გვგონია, რომ ჩვენი ძალებით, ჩვენი ჭკუითა და უნარით შევძლებთ წარმატებების მიღწევას, რაც მადლის მოპოვებაში ხელისშემშლელ გარემოებად იქცევა.

ღმერთის გარეშე თვით ანგელოზებსაც არ ძალუძთ არარა, მითუმეტეს ჩვენ.

ამ დიდებულ დღეს მუხლმოდრეკით, უმორჩილესად შევთხოვ ყოვლადწმიდა სამებას, მოგვანიჭოს თავმდაბლობა და თითოეული ჩვენგანის გული ჰყოს ბეთლემის ბაგად, რომელშიც იშვება ღმერთ-კაცი იგი – იესო ქრისტე.

დიდება შენდა, უფალო, მაცხოვარო ჩვენო, რომელი განცდასა ჩვენ-

(გაგრძელება მე-7 გვ.)

(დასაწყისი მე-6 გვ.)

თა ცოდვათასა მოგვანიჭებ და დაცემულთა აღგვადგინებ!

დიდება შენდა, უფალო, რომელი აღგვავსებ ჩვენ მადლითა შენითა და გვაზიარებ საუკუნო ნეტარებასა შენსა!

დიდება და მადლობა შენდა, უფალო, რომელი აღგვავსებ სიხარულითა, სიყვარულითა და იმედითა შენითა!

გიხაროდენ, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, შვენიერო შროშანო, რომლისაგან გამობრწყინდების მაცხოვარი.

გიხაროდენ, რომლისა მიერ წყევაი მოაკლდების,

გიხაროდენ, სიწმიდისა ტაძარო, ძისა შენისა მადლისა მომფენელო.

ქართველნო და ყოველნო ერთგულნო მკვიდრნო საქართველოისა! –

„ითხოვდით და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოვოთ; ირეკდით და განგეღოს თქუენ“ (მათე, 7,7).

არ დაეცეთ, არ შედრკეთ, არ შეუშინდეთ დროს, არ დაკარგოთ იმედი ღვთისა, იმედი მომავლისა; არ დაკარგოთ სიყვარული მოყვასისა; იყავით მოყვარენი შრომისა და ცოდნისა!

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ჩვენთან არს ღმერთი!

სიყვარულით თქვენთვის

მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს – პატრიარქი

შობა ქრისტესი
თბილისი, 2010 წელი

ერის სულიერი მამის ბიოგრაფიიდან...

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) დაიბადა 1933 წლის 4 იანვარს ქ. ვლადიკავკაზში. კათოლიკოს-პატრიარქის მშობლები საქართველოდან, ყაზბეგის რაიონიდან იყვნენ: მამა — გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილი — სოფელ სნოდან, დედა — ნატალია იოსების ასული კობაიძე კი — სოფელ სიონიდან. 1927 წელს მათ სახლი შეიძინეს ქ. ვლადიკავკაზშიც, სადაც შემდეგ დაიბადა საქართველოს მომავალი პატრიარქი. მშობლებმა სამი დღის ახალშობილი ქრისტეშობის დღეს მონათლეს ქართულ ტაძარში და ყრმას ერეკლე II პატივსაცემად ირაკლი უწოდეს. 1952 წელს ირაკლი შიოლაშვილმა დაამთავრა ვლადიკავკაზის 22-ე საშ. სკოლა და ჩააბარა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. 1960 წლის ივნისში მან წარმატებით დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი თემაზე „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“ და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

1986 წელს წმ. ვლადიმირის სასულიერო სემინარიამ (აშშ), 1998 წელს წმ. ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ (აშშ) და 2002 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა Honoris Causa მას მიანიჭეს ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი. 1996 წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიამ, ხოლო 2005 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის საპატიო აკადემიკოსად აირჩიეს.

პატრიარქის ოჯახი

1957 წელს სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და სახელად წმიდა ილია წინასწარმეტყველის საპატივცემულოდ ილია ეწოდა. იმავე წელს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III მას ხელი დაასხა იეროდიაკვნად; 1959 წელს ზაგორსკის წმ. სერგი რადონეჟელის ლავრაში რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის წერილობითი თანხმობით, იეროდიაკვანი ილია მღვდელ-მონოზვნად აკურთხა.

მღვდელ-მონოზონმა ილიამ 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. მას სთხოვეს, გაეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა, მაგრამ სასულიერო კადრების სიმცირის გამო, სამშობლოში დაბრუნდა და დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად. ერთგული მოღვაწეობისათვის იგი 1960 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის მიერ აღყვანილ იქნა იღუმენის, 1961 წელს კი არქიმანდრიტის ხარისხში;1963 წლის 25 აგვისტოს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შედგა მისი ხელდასხმა შემოქმედელ ეპისკოპოსად. 1963 წლიდან 1972 წლამდე იგი იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის — იმ დროისათვის ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის – პირველი რექტორი.

1967 წლის 1 სექტემბერს ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად;

(გაგრძელება მე-8 გვ.)

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) და ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ილია. მცხეთა, სამთავროს მონასტერი. 1971 წელი

(დასაწყისი მე-7 გვ.)

1969 წლის 17 მაისს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

1977 წლის 23 დეკემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის XII ადგილობრივი კრება, რომელმაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ერთხმად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის 141-ე მეთაურს ეწოდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II.

1978-1983 წწ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი. იგი დაჯილდოვებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის პატრიარქების, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და თიოქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა. 1997 წელს მისი უწმიდესობა კრეტის სასულიერო აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია. ამ წელსვე იგი არჩეულ იქნა გაეროსთან არსებულ ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად; 1998 წელს კი ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა.

1988 წელს უწმიდესისა და უნეტარესის თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები: ბათუმში, ახალციხესა და ქუთაისში სასულიერო სემინარიები, ხულოში სასულიერო სასწავლებელი და მასთან არსებული გიმნაზია, გიმნაზიები დაარსდა თბილისში, ბათუმში, ზესტაფონში... საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა გელათის სასულიერო აკადემია და ეკლესიის ეგიდის ქვეშ მყოფი გელათის მეცნიერებათა აკადემია.

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებულები, ბროშურები და წიგნები, ჟურნალები, სამი სახის კალენდარი, დაარსდა გაზეთები. მისი ინიციატივით საპატრიარქოსთან შეიქმნა ხუროთმოძღვრების ცენტრი, ხალხური რეწვის და მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, საგამომცემლო და სიწმიდეთა მოძიებისა და დაცვის ცენტრი, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილება, ასევე საგარეო და საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება, საინფორმაციო სამსახური, ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი“, ჰუმანიტარული სამსახური, მომლოცველობის სამსახური და სხვა.

პატრიარქ ილია II-ის ზეობის განმავლობაში აიგო მეტი ეკლესია, ვიდრე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 15-საუკუნოვანი ისტორიის რომელიმე ცალკე აღებულ ასწლეულში, მათ შორის — სამების საკათედრო ტაძარი, ყველა დროის უდიდესი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში.

პატრიარქ ილია II-ის ზეობის დროს გადაწყდა ორი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე და თავისი მასშტაბებით ისტორიული, პრობლემა: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საერთაშორისო აღიარება და კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.



1977 წლის 23 დეკემბერი. თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XII კრება. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი) აირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

მრავალჟამიერ მის უწმიდესობას

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

მინდა მოგილოცოთ დაბადების დღე და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტახტზე აბრძანების 32-ე წლისთავი. მართლაც რომ შეუფასებელია თქვენი ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე. 32 წლის წინათ თქვენ ჩაიბარეთ გაპარტახებული ტაძრები, რწმენაშერყეული და მცირერიცხოვანი მრევლი. დღეს კი, ღვთის შეწევნით და თქვენი დიდი ძალისხმევით, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია მისიონერულ საქმიანობასაც კი ეწევა თითქმის მთელ მსოფლიოში. სწორედ თქვენი მეოხებით გახდა შესაძლებელი, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა და საპატრიარქო პატივი 1989 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ დაადასტურა.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თქვენი აღსაყდრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მოხდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის კათედრიდან, აფხაზეთიდან, ჩემი მშობლიური კუთხიდან. არ მტოვებს იმედი, რომ, თქვენი ლოცვებით და ჩვენი მთავრობის მცდელობით, უფალი ინებებს აფხაზეთის დედასამშობლოს წიაღში დაბრუნებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიძლიერეს.

თქვენი ლოცვა-კურთხევა არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს.

მრავალჟამიერ თქვენს მეუფებას.

გიორგი ბარამია,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

* * *

უწმიდესო და უნეტარესო,

ცხუმ-აფხაზეთის საზოგადოებრიობისთვის კიდევ ერთხელ გახდა ღრმა და სხივმოსილი დაიმედების საფუძველი ის გულისხმიერება, რომელიც თქვენს კურთხევებსა და ქადაგებებში თქვენთვის ჩვეული კაცთმოყვარეობით რომ მოიღეთ ჩვენთვის, მიწიერი ცხოვრებისაგან დამძიმებულთათვის.

ქართველი ერის სულიერ წინამძღოლად თქვენი მოღვაწეობის 32 წელი გახლავთ სანიშანსვეტო შინაარსი, რომელიც, ისევ და ისევ, გამომდინარეობს წმიდა წერილის მადლმოსილებიდან, ერის სახალხო სიბრძნიდან და კაცობრიობის სულიერი მიღწევების საფუძვლიანი ანალიზიდან.

მძიმეა ხვედრი ერისკაცისა, განსაკუთრებით დღეს, როცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა და ცხინვალის მხარის მარად ქართულ მიწას ქუსლავს ოკუპანტის ჩექმა.

ჯერ კიდევ 2005 წელს სააღდგომო ეპისტოლეში თქვენს სამწყსოს გაუთვალნათლივეთ, რომ „...თანამედროვე პირობებში ვითარება კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ კაცობრიობამ შექმნა ბრძოლის ახალი ფორმა — ინფორმაციული ომი. ქვეყნებისა და პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება დღეს ძირითადად ამ საშუალებით ხორციელდება. მომავალში კი მას, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ თავის დროზე სათანადოდ ვერ აუღო ალღო ამ ახალ მოვლენას, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებში საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ჯეროვნად ვერ წარმოაჩინა თავისი სიმართლე და წაგებული აღმოჩნდა ინფორმაციულ ომშიც“.

ამ ჭეშმარიტი დამოძღვრის საგაკვეთილო შინაარსიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ხელმძღვანელობით, დედაეკლესიის კურთხევითა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სულიერი წინამძღოლობით თანმიმდევრულად ვცდილობთ განვაგრძოთ ამ მხრივ საქმიანობა, რამეთუ, აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხი, როგორც უფლისეული ნება და ჩვენი ხალხის მიზანი, მაცხოვართან რწმენაში გაერთსხეულების გარეშე ვერ მიიღწევა.

უფალმა ადიდოს სრულიად საქართველო!

გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს!

ღმერთმა დაგლოცოთ!

პატივისცემით,

ელგუჯა გვაზავა,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

* * *

უწმიდესისა და უნეტარესის მხოლოდ გახსენებაც კი, ქვეყნის ძნელბედობის ჟამს თუ პირადი გასაჭირის დროს, იმედით გვავსებს და წინაღობების დაძლევაში გვეხმარება, სინათლითა და სითბოთი, მამისეული ზრუნვით გვმფარველობს იგი, ზნეობრივად გვამაღლებს და რწმენაში გვაძლიერებს.

ღრმა სულიერება, სიბრძნე და სიყვარულის ნიჭი, ცხოვრებისეული გამოცდილება მისი, დღენიადაგ ჭირდება თითოეულ ჩვენგანს — სამწყსოს წევრებს.

სასოებით ვატარებ მის მიერ მოძღვნილ ჯვარს, რომელიც მე და ჩემს აფხაზ მეგობრებს ამ ორიოდე წლის წინათ გვაჩუქა; სასოებით ვისმენ მის თითოეულ სიტყვას და მთელი გულით მიყვარს ჭკუის დამრიგებელი ჩვენი, ღვთის სიტყვის გადმომცემი, სიკეთისა და სიბრძნის მთესველი, მოშულლეთა შემრიგებელი.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

ყველაფრისათვის მადლობას ვუთვლი უწმიდესსა და უნეტარესს, ვულოცავ აღსაყდრების 32-ე წლისთავს და დაბადების დღეს. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს მისი ლოცვები; ღმერთმა სულ კარგად გვიმყოფოს სულიერი მამა ჩვენი, ღვთის სადიდებლად და მამულის გასაძლიერებლად.

გურამ ოდიშარია,
მწერალი

* * *

1978 წელს სიონის საკათედრო ტაძარში პირველად ვნახე საქართველოს პატრიარქი ილია II. იმ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი. ისე მოხდა, რომ ჯერ კიდევ პირველი გამოცდის დაწყებამდე მოვუსმინე კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებას და მისგან დავილოცე: ვემთხვიე ჯვარს, რომელიც მას ხელთ ეპყრა და მან ნაკურთხი წყალი მასხურა უსუპით. იმ წელს მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და საქართველოს დედაუნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ჩემზე თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: ვიგრძენი, რომ მას ღვთისაგან განსაკუთრებული ძალა და მადლი ჰქონდა მინიჭებული... მისი ქადაგებების მოსმენა ჩემზე ყოველთვის უაღრესად დადებით ზეგავლენას ახდენდა და მის მრევლად ყოფნა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო და არის.

ჩვენი პატრიარქის ცხოვრებაში აფხაზეთს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია: 11 წლის განმავლობაში მისი უწმიდესობა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანდებოდა. აფხაზეთში მან დიდი სიყვარული დათესა და დღემდე თვლის, რომ ეს პერიოდი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთი გამორჩეული ეტაპია. როგორც თვითონ ბრძანებს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტობამ ის საქართველოს კათოლიკოსობისათვის მოამზადა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნება ის ფასდაუდებელი ამაგი და მზრუნველობა, რასაც მისი უწმიდესობა ჩვენი უნივერსიტეტისა და მთლიანად დევნილი სასზოგადოების მიმართ იჩენს. 2009 წლის მაისში მისმა უწმიდესობამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრობისას დევნილი უნივერსიტეტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმ. გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. ეს საქართველოს ისტორიასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა და მას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ დიდი გამოხმაურება და უაღრესად დადებითი შეფასებები მოჰყვა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ განსაკუთრებულ პატივს ღვთისა და ქვეყნის წინაშე თავდადებული შრომითა და ერთგულებით სჭირდება პასუხის გაცემა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სტუდენტებს ხარისხიანი განათლება მივცეთ და ვიყოთ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დამცველთა მოწინავე რიგებში, იმისათვის, რომ საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ.

32 წელზე მეტია, რაც მისი უწმიდესობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. ამ ხნის მანძილზე ის თავდადებით ემსახურება ქართულ ეკლესიას და სამშობლოს. მან ქართველ ხალხს ღვთისა და ქვეყნის ერთგული მსახურების არაერთი ბრწყინვალე მაგალითი უჩვენა... ჩვენი ბრძენი პატრიარქის დროს აშენდა უამრავი ახალი ეკლესია, აღორძინდა სასულიერო აკადემია, მნიშვნელოვნად მოიმატა სასულიერო პირებისა და მრევლის რაოდენობამ... აშენდა ქართული მართლმადიდებლური კულტურის და ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი — წმიდა სამების ლავრა... აბა, რომელი ერთი ჩამოვთვალო. პატრიარქის საკვირაო ქადაგებები, ეპისტოლეები თუ საჯარო გამოსვლები სიბრძნის ულევი წყაროა, ყოველთვის აქტუალურია, საზოგადოების სამოქმედო გეგმაა. ჩვენს პატრიარქს ღმერთმა განსაკუთრებული სიბრძნის მადლი უბოძა და იგი მას ყველა ჩვენგანს უანგაროდ და დაუზარებლად აზიარებს. მთავარია, რომ ჩვენ მას დავუჯეროთ და ღმერთს

(გაგრძელება მე-11 გვ.)

(დასაწყისი მე-10 გვ.)

მადლობა შევწიროთ იმისათვის, რომ საქართველოს ასეთი არაჩვეულებრივი, ღირსეული და ბრძენი პატრიარქი ჰყავს. ილია II მთელი მართლმადიდებლური სამყაროს გამორჩეული პატრიარქი და უბადლო მოძღვართ-მოძღვარია. ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს პატრიარქს მისი სიბრძნის, გახსნილობის, მაღალი ზნეობისა და ზოგადკაცობრიული ადამიანური თვისებების გამო სხვა ტრადიციული რელიგიების სულიერი მამები და მორწმუნეები დიდი პატივისცემითა და გამორჩეული მოკრძალებით ეპყრობიან.

ერთი რამეც უდავოდ უნდა აღინიშნოს: ჩვენი პატრიარქი ყოველმხრივ განათლებული და უაღრესად დახვეწილი გემოვნების ადამიანია. ის კარგად ერკვევა მეცნიერების სხვადასხვა დარგში და, ამავე დროს, ავტორია გემოვნებით გამორჩეული, მაღალ დონეზე შესრულებული მრავალი მუსიკალური ნაწარმოებისა თუ ფერწერული ნამუშევრისა, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენს მაცხოვარს და ზოგადად სულიერ ცხოვრებას უკავშირდება. ჩვენი პატრიარქი ნიჭიერი მეურნეცაა: მისი ბაღი საპატრიარქოში განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა, იგივე უნდა ითქვას სამების ლავრის შემოგარენზეც. რად ღირს თუნდაც ბოლო დროს მისი უწმიდესობის ინიციატივითა და ქალაქ თბილისის მერიის ხელშეწყობით ჩვენს დედაქალაქში დაწყებული გამწვანების აქციების ჩატარება.

მინდა უფალს ვთხოვო, რომ დიდხანს გვიცოცხლოს და ჯანმრთელად გვიმყოფოს ჩვენი ბრძენი და საყვარელი პატრიარქი, ღვთისგან გამორჩეული მოძღვართ-მოძღვარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II.

ჯონი აფაქიძე,
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

* * *

ნეტარია ის ერი, რომელსაც უფალი თავისი უსაზღვრო წყალობით მოუვლენს ისეთ სულიერ მწყემსს და მოძღვარს, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ჩვენო უწმიდესო — სავსეს ღვთაებრივი სიბრძნითა და მადლითა „უძლურთა მკურნალთა და ნაკლულევანთა აღმავსებელთა“, გულით, მზეს რომ ემსგავსება და მარად მოჰფენს სითბოს და სინათლის მაცოცხლებელ სხივებს ყოველ სულიერს და სიცოცხლის ძალას და უნარს ანიჭებს მათ. თქვენი გული იმხელა სიყვარულს იტევს, რომ მთელ სამყაროს მოიცავს და უანგაროდ მოეფინება ყველას, მართალსა და ცოდვილს, დიდსა და პატარას, ყველას — განურჩევლად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა.

ერთ მწერალს უთქვამს — სილამაზე გადაარჩენს სამყაროსო... თქვენ კი ერთ-ერთ ქადაგებაში კიდევ უფრო გააღრმავეთ ეს აზრი და ბრძანეთ, რომ სიყვარული გადაარჩენს სამყაროსო... იმიტომ, რომ თვით ღმერთი თავისი არსით უპირველესად — აბსოლუტური, უზენაესი სიყვარულია... და მხოლოდ ამ ღვთაებრივი მადლით შემოსილ სიყვარულს გააჩნია ის სასწაულთმოქმედი ძალა, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს და ფერი უცვალოს სამყაროს... ეს ის წმიდა სიყვარულია, რომელსაც თქვენ გულით ასე სათუთად ატარებთ, და რომელიც არასოდეს „გარდატეხილ ლერწამს არ გატეხს, და მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს“ (მთ. 12,20). ეს ის სიყვარულია, რომელიც ყველაზე დაცემულ და ცოდვით დაბნელებულ სულშიც კი პოულობს ღვთის ხატების განუმეორებელ ღვთაებრივ მშვენიერებას და სილამაზეს... ეს ის სიყვარულია, რომელიც ასე ფაქიზად და სათუთად ეხება სულის იარებს, ღვთის ყოვლისშემძლე მადლით განკურნავს მათ, და ჭეშმარიტ სულიერ სიხარულს და ნათელს აზიარებს...

მაგრამ, ამავე დროს, ეს ის სიყვარულია, რომელიც უმძიმესი ჯვარი და უდიდესი ტკივილიცაა, რადგან იგი ერის ტკივილს და სიმძიმეს ბოლომდე ტვირთულობს და ამ ტკივილის და სიმძიმის თანამოზიარე ხდება...

... თქვენო უწმიდესობავ! ჩვენ ვიცით, რამხელა სიყვარული და რაოდენ დიდი ტკივილია თქვენთვის აფხაზეთი — ღვთაებრივი მადლის საოცარი სავანე, ულამაზესი გვირგვინი, რომელიც ოდითგანვე ამკობდა და ამშვენებდა საქართველოს, მისი განუმეორებელი, მასთან შერწყმული ნაწილი... ჩვენ ვიცით, რამხელა ტკივილია თქვენთვის ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის — ეს უპრეცენდენტო და ყოვლად გაუგებარი დაპირისპირება, რომელიც ხელოვნურად იყო გაღვივებული და გაჩაღებული მტრულად და შურით განწყობილი ძალის მიერ.

მამაჩემი, იური ანუა, თქვენი ერთგული სულიერი შვილი იყო. მას განსაკუთრებული სიყვარული და მოწიწება გააჩნდა თქვენდამი. მისთვის ქართველი და აფხაზი მარად ერთი ცნება იყო, და ამ ერთიანი ორი ერის დაპირისპირება საშინელ ცოდვად და დანაშაულად მიაჩნდა. თავისი ცხოვრებით იგი ბოლომდე ერთგული დარჩა ამ დიდი სიყვარულის და ეს მოწამეობრივი აღსასრულითაც დაამტკიცა.

არ შეიძლება ცრემლების გარეშე გაიხსენო ის ფაქტიც, როდესაც ქართველი და აფხაზი ბიჭები, რომელნიც ომამდე ერთ მერხთან ისხდნენ, ომის პერიოდში, საბრძოლო მოქმედებების დროებით შეწყვეტის დროს, გადადიოდნენ ერთმანეთის საბრძოლო პოზიციებზე, მოინახულებდნენ, მოესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, და შემდგომში კი, შეიძლება საუკეთესო მეგობრის ტყვიას მეგობრის სიცოცხლე ემსხვერპლა...

(გაგრძელება მე-12 გვ.)

(დასაწყისი მე-11 გვ.)

ასეთი შემაძრწუნებელი და ტრაგიკულია შედეგები ამ სრულიად უაზრო ომის...

რა დაგვიბრუნებს აფხაზეთს, რა შეავსებს ძმათა შორის ხელოვნურად გაჩენილ ნაპრალს? მხოლოდ სიყვარული — მიმტევებელი, ღვთაებრივი, ზეციური მადლით სავსე... ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სწორედ ეს უნაპირო, უდიდესი სიყვარული, რომლითაც თქვენ გიყვართ აფხაზეთი და აფხაზები, სიყვარული, რომელიც ერთნაირად დასტირის და ლოცვებში მოიხსენებს ქართველებსაც და აფხაზებსაც, რომელნიც უმოწყალოდ იმსხვერპლა ამ საშინელმა ომმა, მოახდენს ნამდვილ სასწაულს... და ღვთის გამოუთქმელი განგებით, გარდაუვალად დადგება ჟამი, როდესაც ამ ხელოვნურად გაღვივებული დაპირისპირების გრძელი ზამთრის შემდეგ, ბოლომდე გალღვება უნდობლობის ყინული ქართველებსა და აფხაზებს შორის, ისევ მოვა ასე ნანატრი გაზაფხული აღდგენილი მეგობრობისა, ისევ დადგება სიყვარულის დღესასწაული — რომელიც არასოდეს დამთავრდება...

... იდღეგრძელეთ, ჩვენო უწმიდესო, დღეგრძელი და მზიანი ყოფილიყოს თქვენი წმიდა მსახურება დედაეკლესიისა, რომელსაც „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ ვერ მოერევიან უკუნისამდე. მფარველი ანგელოზის ფრთებივით მარად ჰფარავდეს საქართველოს თქვენი წმიდა, უკიდეგანო სიყვარული — მზე, რომელიც არასოდეს, არასოდეს ჩავა...

უსაზღვრო სიყვარულით და მოწიწებით,

უღრმესი პატივისცემით,

მანანა ანუა,

ექიმი, გმირულად დაღუპული
იური ანუას ქალიშვილი

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II — ეს არის ნათელი პიროვნება, ნათელი ადამიანი, რომელიც დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს. იმიტომ იმსახურებს, რომ თვითონ ასხივებს სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერებას. ეს ყველაფერი მის თვალებში იკითხება. მასთან შეხვედრა გავიწყებს ყველაფერ ცუდს, ყველაფერ წამიერს და სწრაფწარმავალს.

კიდევ მთავარი ამ პიროვნებაში ისაა, რომ მას უყვარს ადამიანი, მას უყვარს მთელი ერი და უფრო მეტიც, მას უყვარს საერთოდ ყველა ადამიანი, ყველა ხალხი და ლოცულობს თითოეული ადამიანის გადარჩენაზე, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ გადარჩენაზე.

საქართველოს პატრიარქთან ყოველი შეხვედრა ჩემთვის ნამდვილი ბედნიერებაა. ბედნიერებაა მისი მოსმენა, მას რომ ჩავხედავ თვალებში — ბედნიერებაა. ნახეთ, რა უბრალოდ საუბრობს იგი და ამავე დროს, რამდენი სიბრძნეა თითოეულ მის სიტყვაში. გულწრფელობა, სამყაროს მისეული აღქმა ისე გასაგები და სადაა, გგონია, რომ ეს ყველას უნდა შეეძლოს. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. ეს ხომ მხოლოდ მას სჩვევია, იმიტომ, რომ სიკეთით და კეთილშობილებითაა სავსე.

მე ვისურვებდი, რომ ილია II-მ, სრულიად საქართველოს პატრიარქმა იცოცხლოს დიდხანს, რათა თავისი წრფელი გრძნობით, ნათელი სიტყვით და უდიდესი სიყვარულით გვანიჭებდეს ბედნიერებას.

ზურაბ სოტკილავა,

მომღერალი

* * *

ცნობილია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თერთმეტი წელი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი გახლდათ.

მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდას, მე არაერთხელ საათობით მისმენია მისი ქადაგებები — გულშიჩამწვდომი ლოცვის სიტყვა!

მას შემდეგ ჩემს მეხსიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა მისი სილამაზე, უბრალოება, ქადაგების წესი.

მისი ბრძნული ეპისტოლეები, ამდიდრებდა ჩვენს შეგნებას, გვაზიარებდა ჭეშმარიტებას

უწმიდესის გამონათქვამებში დავანებული მხილებითი სიტყვა ჩვენში სულიერ ჰარმონიას ქმნის და პიროვნების სულიერი გამდიდრებისათვის უდიდესი შედეგი გააჩნია.

მიტევებას სიყვარულით გვასწავლის, რამეთუ სიყვარული ადამიანის სულში აქრობს ყოველივე ნეგატიურს, ხსნის, ამაღლებს და აკეთილშობილებს მის საუკეთესო მხარეებს.

თავად ილია II სული, სიყვარულით გასხივოსნებული, უდიდეს ზეგავლენას ახდენდა აფხაზეთის მოსახლეობაზე. ეს იყო ის ღვთაებრივი ძალა, რომლის მეოხებითაც ჩვენ — აფხაზები, ქართველები და აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ვცხოვრობდით მშვიდობიანად, მეგობრულად და ნათესაური სიყვარულით, სანამ მესამე ძალამ არ გაგვთიშა.

უკვე 30 წელზე მეტია და დღესაც ილია II დაუშრეტელი ენერგიით მოძღვრავს უფლის სიტყვით საქართველოს მოსახლეობას.

ჩვენთვის, აფხაზეთიდან დევნილთათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის, პატრიარქი წარმოადგენს ერთადერთ მფარველს, სულიერ წინამძღვარს და ნათელი მომავლის იმედს!

ვუსურვებ სრულიად საქართველოსა კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II ძლიერ, ძლიერ ჯანმრთელობას და აფხაზურ წელთა სიმრავლეს!

უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით,

ლორიკ მარშანია,

აფხაზეთის წებელდელ
მარშანთა უძველესი თავადური გვარის წარმომადგენელი

(გაგრძელება მე-13 გვ.)

* * *

ვინ არის ჩემთვის პატრიარქი?

კითხვა, რომელზეც თითოეულ ჩვენგანს აქვს პასუხი. პატრიარქი არის არა მხოლოდ სულიერი მამა, მასწავლებელი და წინამძღვარი, არამედ რწმენაც, რომელიც დღევანდელ ყოფაში ასე ძალინ გვჭირდება.

უფალი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიმართ მოწყალეა, ჩვენ გვყავს მწყემსმთავარი, რომლის თოთოეული ნათქვამი სიტყვა არის სულიერი საზრდო. პატრიარქის ყოველი ქადაგება არის საკუთარი უძლურების შეცნობა, საკუთარი ცოდვების დანახვა, უფლისადმი უსაზღვრო სიყვარული და ღვთის სიტყვის ასრულების სურვილი. სურვილი იმისა, რომ თუნდაც ცოტათი მაინც გავკეთილშობილდეთ, ვიყოთ თავმდაბალნი, მოყვასის მოყვარულნი და ღვთის მოშიშნი.

თითოეული ჩვენგანისათვის ცნობილია პატრიარქის უდიდესი ღვაწლი მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებისათვის.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აშენდა ასობით ეკლესია-მონასტერი, გაიხსნა სასულიერო აკადემიები და სემინარიები, გამრავლდა მორწუნეთა რიცხვი. პატრიარქის ყოველი ქადაგება და მის მიერ ნათქვამი სიტყვა აძლიერებს ყველა ჩვენგანს, მატებს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას მორწმუნე ადამიანებს, რაც უფრო მეტი მორწმუნე ადამიანი იქნება საქართველოში, მით უფრო გაძლიერდება ჩვენი სამშობლო.

ქართველი ერის ყველაზე დიდი ბედნიერებაა პატრიარქის დღეგრძელობა.

ჩემთვის პატრიარქი არის მშვიდობიანი და ძლიერი საქართველოს საწინდარი.

უღრმესი მოწიწებით,

მზია კაკულია

ექიმი

* * *

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ქართულ საზოგადოებასა და მართლმადიდებლური აღმსარებლობის დიასპორებთან ერთად ამას წინათ შეხვედრა მოუწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს. შეუძლებელია აღწერა იმ აღტაცებისა, რომელმაც შეიპყრო იმ საღამოს ყოველი დამსწრე. აღტაცებისა, რომელიც ნათლად გამოხატავდა მორწმუნეთა, საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა უდიდეს სიყვარულს, უსაზღვრო ნდობას თავისი პატრიარქისადმი. მისი საპასუხო სიყვარული კი სიმართლისა და გონიერების გამარჯვების რწმენას ნერგავდა. ის განასახიერებდა და განასახიერებს ხალხის სინდისს, თავისი ცხოვრების გზაზე, როგორც ქრისტიანი, ბოლომდე დგას მშობლიური ქვეყნის, მისი ხალხის, ცალკეული ადამიანის გვერდით უშურველი, განუზომელი სიყვარულით, განურჩევლად საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ეროვნებისა თუ რწმენისა.

სიყვარულმა და მოწიწებამ თავი ფარულად უნდა გამოავლინოს. ეს იმდენად ფაქიზი გრძნობებია, რომ არამცთუ საუბრით, ფიქრითაც კი არ უნდა შეეხო, და მაინც, შეუძლებელია არ გაიაზრო და არ აღიარო პატრიარქის შინაგანი ცხოვრების სიმაღლე, მისი ნიჭი ვითარების ჭეშმარიტების წვდომისა, სიძნელეებისა და დაბრკოლებების გაგების უნარი, რაც ასე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას მისი ისტორიის ესოდენ რთულ მონაკვეთში.

მე შემიძლია და იმედია, მაქვს უფლება ვთქვა აფხაზეთის მცხოვრებთა სახელით, მათი სახელით, ვინც აღმოჩნდა გარიყული საკუთარი სახლებიდან, ან ვისაც აქვს ბედნიერება იცხოვროს თავის მშობლიურ მიწაზე. ჩვენ ვიცით, თუ როგორ უყვარს აფხაზეთი პატრიარქს. მან აქ 10 წელზე მეტი გაატარა, როგორც აფხაზეთის ეპარქიის უმაღლესმა პირმა; მისთვის ამ მშვენიერი მხარის ყველა კუთხეა ნაცნობი. მხარისა, რომელსაც ფარავს მადლი უდიდესი წმიდანებისა. მასთან მრავალ ადამიანს ჰქონდა ურთიერთობა. მათ სჯეროდათ და კვლავაც სჯერათ მისი სიტყვისა, ადამიანთა სულში ზნეობრივის ყოვლისშემძლეობის ნათელი რწმენის ჩასახვას რომ ემსახურება. პატრიარქთან ურთიერთობა გვიქარწყლებს ყოველდღიურ საზრუნავს, პირადულ გასაჭირს და წინა პლანზე გამოაქვს ქვეყნის, მისი მოქალაქეების ყოფის გლობალური საკითხები.

პატრიარქის მიმართვა სრულიად საქართველოსადმი, მრევლისადმი და ზოგადად ადამიანებისადმი, ქადაგება იქნება ეს თუ რჩევა, გვამაღლებს სულიერად. ის ისეთივე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, როგორც მისი მუსიკალური და ფერწერული ქმნილებები. ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოვებული, მთელი თავისი მოღვაწეობის, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ატარებს უსაზღვრო სიყვარულს ადამიანებისადმი. უნიკალურია მისი შინაგანი კავშირი ხალხთან.

დაბოლოს, ვფიქრობ, ჰერაკლიტეს აფორიზმი მოკლედ და სხარტად გამოხატავს ჩემს სათქმელს:

„სულის საზღვრებს შენ ვერ
მიაკვლევ,
რა გზითაც არ უნდა წახვიდე,
იმდენად უსაზღვროა იგი“.

სულიერებისა და კულტურის ცენტრისა და პირადად ჩემი სახელით ინტრონიზაციის წლისთავს და დაბადების დღეს სიყვარულით მდაბლად ვხრი თავს პატრიარქის წინაშე და მრავალი წლის სიცოცხლეს ვუსურვებ.

სვეტლანა ქეცბა,

აფხაზეთის სულიერებისა
და კულტურის ცენტრის
თავმჯდომარე

საეკლესიო კალენდარი

3 იანვარი — წმ. მამათა კვირა.
7 იანვარი (ხუთშ.) — ქრისტეშობა.
8 იანვარი (პარ.) — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კრება.
10 იანვარი (კვ.) — ხსენება დავით მეფისა (ფსალმუნთა მთქმელისა).
14 იანვარი (ხუთშ.) — წინადაცვეთა უფლისა.
— ხსენება წმ. ბასილი დიდისა (379 წ.).
15 იანვარი (პარ.) — ხსენება ღირ. სერაფიმე საროველისა (1833 წ.).
17 იანვარი (კვ.) — კრება წმიდა 70 მოციქულთა.
19 იანვარი (სამშ.) — ნათლისღება (განცხადება უფლისა).
— დიდი აიაზმა (წყალკურთხევა).
21 იანვარი (ხუთშ.) — ხსენება მოწამე აბო თბილელისა (786 წ.).
23 იანვარი (შაბ.) — ხსენება წმ. გრიგოლ ნოსელისა (394 წ.).
24 იანვარი — მეზვერისა და ფარისევლის კვირა (დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდის I კვირა).
27 იანვარი (ოთხშ.) — წმიდა ნინოს ხსენება (ნინოობა).
29 იანვარი (პარ.) — თაყვანისცემა პატიოსანთა ჯაჭვთა წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა პეტრესი.
30 იანვარი (შაბ.) — ხსენება ღირ. ანტონი დიდისა (356 წ.).
31 იანვარი — უძღები შვილის კვირა.

---

1 თებერვალი (ორშ.) — ხსენება ღირ. ანტონ მარტყოფელისა (VI ს.).
3 თებერვალი (ოთხშ.) — ხსენება ღირ. მაქსიმე აღმსარებელისა (662 წ.).
6 თებერვალი — ხორციელის შაბათი (მიცვალებულთა ხსენება).
7 თებერვალი — ხორციელის კვირა (საშინელი სამსჯავროს ხსენება).
8 თებერვალი (ორშ.) — ხსენება წმ. კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებელისა (1125 წ.).
9 თებერვალი (სამშ.) — წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანება (438 წ.).
10 თებერვალი (ოთხშ.) — ხსენება ღირ. ეფრემ ასურისა (373-379 წწ.).
11 თებერვალი (ხუთშ.) — ხსენება ღირ. შიო მღვიმელისა (შიოობა).
12 თებერვალი (პარ.) — ხსენება წმ. შორის მამათა ჩვენთა და დიდთა მღვდელმთავართა - ბასილი დიდისა, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა.
13 თებერვალი (შაბ.) — ხსენება ქართველთა კეთილმორწმუნე მეფისა თამარისა (1213 წ.).
14 თებერვალი — ყველიერის — მიტევების კვირა (სამოთხიდან ადამის განდევნის ხსენება).
15 თებერვალი (ორშ.) — **მირქმა** — მიგებება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
— დიდი მარხვის დასაწყისი.
19 თებერვალი (პარ.) — ხსენება ღირ. არსენ იყალთოელისა (1127 წ.).
20 თებერვალი (შაბ.) — ხსენება დიდმოწამე თეოდორე ტირონისა (306 წ.).
23 თებერვალი (სამშ.) — ხსენება ღირ. იოანე ჭიმჭიმელისა, ფილოსოფოსისა (XIII ს.).
25 თებერვალი (ხუთშ.) — ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული.
27 თებერვალი (შაბ.) — ხსენება ღირ. მღვდელმონაზონისა ილარიონ ქართველისა (1864 წ.).
— მიცვალებულთა ხსენება.
28 თებერვალი (კვ.) — ხსენება წმ. გრიგოლ პალამასი (1360 წ.).

ერის სულიერი ძაძა

შეხვედრა „მართლმადიდებელი საქართველო“

სოხუმის უნივერსიტეტის
დაჯილდოვება

შეხვედრა საპატრიარქოში

მცხეთა. პატრიარქის რეზიდენცია



სვეტიცხოველი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი